ჩემპიონს დაჭირდა 120 წუთი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 17 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - “ზნამია ტრუდა” (ორეხოვო-ზუევო) 2:1 (1:1, 1:1, 2:1, 2:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი (მაისურაძე).

“ზნამია ტრუდა”: პოგონინი, ჩავკინი, სტოიუშევი, ანისიმოვი, ვიშნევსკი, ბერეჟანოვი, სკუპოვი, ფიოდოროვი, რიბაკოვი, პოლიკანოვი, პიმენოვი.

მსაჯი ნ. კორსანოვი (კიევი).

არის გუნდების ერთი კატეგორია, რომელთა “ვიწრო” საფეხბურთო სპეციალობას სათასო მატჩები წარმოადგენს. გარკვეულ ეტაპზე, ცალკეულ მატჩებში მათ შესწევთ ძალთა მაქსიმალური მობილიზების უნარი და ასეთ შემთხვევაში მათი თამაში ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო ძლიერი ხდება.

ეჭვს გარეშეა, ერთ-ერთ ასეთ გუნდს წარმოადგენს ორეხოვო-ზუევოს “ზნამია ტრუდა”, რომელთანაც ჩვენ “საქმე გვქონდა” 17 ივნისს. ესაა “ბ” კლასის ტიპიური წარმომადგენელი, რომელმაც თავისი განსაკუთრებული თვისებების წყალობით 1962 წელს საკავშირო თასის გათამაშების ფინალს მიაღწია, ხოლო ახლა მეოთხედფინალის საფეხურამდე ავიდა.

ჩვენ არ ვიცით, როგორ თამაშობს ეს გუნდი თავის ზონაში (რსფსრ, II), მაგრამ მატჩში ჩემპიონთან და ისიც მის მინდორზე, სტუმრებმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს: კარგი ფიზიკური მომზადება, დიდი სისწრაფე, საკმაო ტექნიკა, ტაქტიკური ოსტატობა და უკიდურესი ბრძოლისუნარიანობა, შრომისმოყვარეობა. ყველაფერი ეს, კონცენტრირებული ერთ თამაშში, უკვე იმ ხარისხამდე ადის, რომ გუნდს საშუალებას აძლევს თანაბარი ბრძოლა გაუწიოს ისეთი კლასის კოლექტივს, როგორიცაა თბილისის “დინამო”.

და მაინც, გვერდი არ უნდა აუაროთ იმ ფაქტს, რომ თბილისელებმა თავისებურად თვითონვე შეუწყვეს ხელი სტუმრების გააქტივებას და საშუალება მისცეს დაევიწყებინათ საფეხბურთო “უფროს-უმცროსობა”. დინამოელთა მიერ ძალზე დუნედ, უტემპოდ გათამაშებული დებიუტის შემდეგ “ზნამია ტრუდას” ფეხბურთელებს მოეხსნათ დაძაბულობა, გუნდმა იგრძნო, რომ ბრძოლა ჩემპიონთან შეიძლება, ხოლო როცა სკუპოვმა ანგარიში გახსნა უკვე მე-2 წუთზე, დინამოელებს ხშირად უხდებოდათ გამოუვალი მდგომარეობიდან თავის ხსნა მეტოქის ხშირი კონტრიერიშების შემთხვევებში.

დასამალი არაა, რომ ეს პირველი გოლი დაცვის უხეში შეცდომის შედეგია. კოტრიკაძემ დააგვიანა მარცხნიდან მოწოდებულ ბურთზე ნახტომი, შემდეგ ბურთს ფეხი ააცილეს ზეინკლიშვილმა და ცხოვრებოვმა და სკუპოვს მეტი აღარაფერი დარჩენოდა ესარგებლა ამ მოულოდნელი “ძღვენით” - 1:0.

გოლის გაქვითვას თბილისელები დიდ ხანს მოუნდნენ, თუმცა საპასუხო ბურთი დიდი ხელოვნებით იქნა გატანილი 22-ე წუთზე ბარქაიასა და მეტრეველის მიერ. პირველმა დიდ სისწრაფეზე შესანიშნავად შეასრულა დრიბლინგი რამდენიმე მცველს შორის, ხოლო მეორემ ზუსტად დაამთავრა ეს შეტევა - 1:1.

დრო საკმარისზე მეტი იყო მატჩის მოსაგებად, მაგრამ დინამოელები ვერც ამ დღეს თამაშობდნენ მთელი თავიანთი სიძლიერით და როცა 90 წუთი ამოიწურა, ანგარიში კვლავ 1:1 იყო.

დამატებით 30 წუთში ბურთი თითქმის არ მოსცილებია სტუმრების ნახევარს. დროდადრო თამაში ცალ კარში ვარჯიშს წააგავდა, ბურთი ხან ძელს ხვდებოდა, ხან მეკარეს, ხან კარს იქით დაფრინავდა, და ჩემპიონმა ამ მრავალი შესაძლებლობიდან გამოიყენა მხოლოდ ერთი: ბარქაიამ კარგად შეარჩია მომენტი და თავით გაგზავნა ბურთი ბადეში.

მატჩი მოგებულ იქნა ანგარიშით 2:1, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ თბილისის "დინამო" ჯერ კიდევ შორსაა თავისი ნამდვილი საბრძოლო ფორმისაგან და ეს მაშინ, როცა თასის მოპოვებამდე მხოლოდ ორი ნაბიჯიღაა დარჩენილი - ნახევარფინალი და ფინალი. გუნდმა მთელი თავისი ძალები უნდა მისცეს ბრძოლას, რომ მშობლიურ ქალაქში ჩამოიტანოს პრიზი, რომლის ფინალებშიც მას თავისი არსებობის ისტორიაში ოთხჯერ უთამაშია.

ბ. ქორქია.

"ლელო", 19 ივნისი, 1965 წ.